

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების საგრანტო კონკურსი

1. ზოგადი დებულებანი.

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის საგრანტო კონკურსის წესსა და პირობებს;
2. კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერების საერთაშორისო სამეცნიერო სფეროში ინტეგრაციას, საქმიანი კონტაქტების დამყარებას, ახალგაზრდა კადრების მეცნიერებაში მოზიდვას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას.

2. მონაწილეობის პირობები.

1. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტებს; კსუ-ს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს, მოწვეულ ლექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომელთაც აქვთ დოქტორის ხარისხი და ამავდროულად დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი; კსუ-ს კურსდამთავრებულ დოქტორებს, რომელთა აკადემიური ხარისხის მინიჭებიდან კონკურსის გამოცხადების დღემდე გასულია არაუმეტეს 7 წელი;
2. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება მოკლევადიანი ინდივიდუალური ვიზიტი საზღვარგარეთ, საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც გამარჯვებულმა ახალგაზრდა მეცნიერმა უნდა გააკეთოს **სექციის მოხსენება ან პოსტერიტ პრეზენტაცია**. ასევე აუცილებელი პირობაა, რომ მოხსენების თემა სტატიის სახით **დაიბეჭდოს სრულად**;
3. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეიძლება მხოლოდ ინდივიდუალურად. თუ სამეცნიერო ნაშრომს ჰყავს რამდენიმე თანაავტორი, ერთი და იმავე მოხსენებით ვიზიტის დასაფინანსებლად საკონკურსო განაცხადის შემოტანა შეუძლია მხოლოდ ერთ ავტორს;
4. დაფინანსების მოსაპოვებლად ერთი კონკურსანტის მიერ შესაძლებელია მხოლოდ ერთი მოხსენების წარმოდგენა;
5. გრანტი გაიცემა იმ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად, რომელიც ჩატარდება 2018 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 1 მარტამდე.
6. საგრანტო კონკურსი ითვალისწინებს შემდეგ სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას: კონფერენცია; კონგრესი; ფორუმი; სიმპოზიუმი; სამუშაო შეხვედრა;
7. კონკურსის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ხარჯები:
 - ვიზის მიღება და მასთან დაკავშირებული ხარჯები;
 - მგზავრობის ხარჯები (მხოლოდ ეკონომკლასის ავიაბილეთის, სახმელეთო ან/და სხვა სატრანსპორტო ხარჯები (არა შიდასაქალაქო გადაადგილება)).
 - სარეგისტრაციო გადასახადი;
 - სადღეღამისო ხარჯები;

- საცხოვრებლის დაქირავების ხარჯები;¹

8. სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისთვის უნივერსიტეტისგან მოთხოვნილი დაფინანსება არ უნდა აღემატებოდეს 3000 ლარს.

9. საცხოვრებლის და სადღეღამისო ხარჯები დაფინანსდება სამეცნიერო ღონისძიებაზე ფაქტობრივად ყოფნის დღეებს დამატებული გამგზავრების და გამომგზავრების დღეები მიხედვით.

10. საკონკურსო დოკუმენტები:

- დანართი 1 - საპროექტო წინადადება;
- დანართი 2 - CV, რომელიც შევსებულია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის GMUS ბაზაში, ან უნივერსიტეტის CV-ის ფორმა;
- დოქტორის დიპლომი ან ცნობა დოქტორანტურის აკრედიტებულ პროგრამაზე სწავლის შესახებ.
- ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ასლი, რომელიც გამოქვეყნებულია კონკურსის გამოცხადების დღემდე ბოლო სამი წლის განმავლობაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- მოწვევის წერილი და სამეცნიერო ღონისძიების პროგრამა, სადაც ჩასმულია კონკურსანტის მოხსენება;
- დანართი 3 - ბიუჯეტი, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ფორმის შესაბამისად.
- თანადაფინანსების წერილი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

11. კონკურსანტებმა საკონკურსო დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ გამგზავრებამდე არანაკლებ **6 კვირით ადრე** ელექტრონულ ფოსტაზე awards@ciu.edu.ge.

12. კონკურსანტების საპროექტო წინადადება ფასდება 10 ქულით ხოლო განმცხადებლის აკადემიური მიღწევები 5 ქულით:

1. თემის აქტუალურობა - 2 ქულა;
2. თემის მიზნები და ამოცანები - 2 ქულა;
3. კვლევის მეთოდები - 2 ქულა;
4. კვლევის შედეგები - 2 ქულა;
5. სამეცნიერო ღონისძიების აღწერა და მნიშვნელობა განმცხადებლის პროფესიულ ბიოგრაფიაში - 2 ქულა;
6. განმცხადებლის აკადემიური მიღწევები - 5 ქულა;

წარმოდგენილი საპროექტო განაცხადი შესაფასებლად გაეგზავნება შესაბამისი დარგის შიდა ან გარე ექსპერტებს, რომლებიც შეფასებას განახორციელებენ დამტკიცებული შეფასების ფორმის მიხედვით (დანართი 4).

დაფინანსების მოსაპოვებლად აუცილებელია არანაკლებ 11 ქულის მოპოვება.

¹ სადღეღამისო და საცხოვრებლის დაქირავების/ ხარჯების შედგენისას ისარგებლეთ “მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ” საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის ბრძანება №220-ით.

13. პრეზენტაციის მასალაზე (პოსტერი ან სექციის მოხსენება) დატანილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ლოგო. ხოლო სამეცნიერო ნაშრომების კრებულში ავტორის გვართან მითითებული უნდა იყოს, რომ იგი არის კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის წარმომადგენელი.

14. საქართველოში დაბრუნების შემდეგ 10 კალენდარული დღის ვადაში სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში წარდგენილი უნდა იყოს გაწეული ხარჯების შესახებ არსებული ყველა საბუთი, თვითმფრინავის ჩასხდომის ბარათები, კონფერენციაში მონაწილეობის **სერთიფიკატი²** და **სამეცნიერო ნაშრომების კრებული** (იმ შემთხვევაში თუ კრებული ჯერ არ არის გამოცემული, გრანტიორმა უნდა დაწეროს მოხსენებითი ბარათი სადაც მითითებული იქნება კრებულის გამოცემის სავარაუდო პერიოდი). თუ წარდგენილი საბუთების თანახმად ხარჯები აჭარბებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის ბრძანება №220-ით განსაზღვრული ხარჯების ნორმებს, უნივერსიტეტი არ ანაზღაურებს დარჩენილ სხვაობას. თუ საცხოვრებელი ფართობის დაქირავების/სასტუმროს ხარჯები ნაკლებია ზემოაღნიშნული ბრძანებით განსაზღვრულ ნორმებზე, გრანტის მიმღები ვალდებულია უკან დააბრუნოს დაფიქსირებული სხვაობა. იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსვლიდან 10 დღის ვადაში სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტში არ იქნება წარდგენილი გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები, უნივერსიტეტი იტოვებს უფლებამოსილებას უკან გამოითხოვოს გრანტის მიმღებისათვის ჩარიცხული თანხა.

² გთხოვთ, წინასწარ გაარკვიოთ, სამეცნიერო ღონისძიების ფარგლებში თუ გაიცემა სერთიფიკატი.